შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№411(W)/ 17. 07. 2016 წ.

პროექტის ექსპერტიზა

ქ.თბილისი, ქუჩა იპ. ხვიჩია №9-ში, შპს"ამერი დეველოპმენტი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ფართზე მრავალფუნქციური კორპუსის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასება

თბილისი

2016 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა ი.პ. ხვიჩია №9-ში, შპს"ამერი დეველოპმენტი"-ს წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გამოკვლეული და შესწავლილი გეოლოგიური ნაწილის შესაფასებლად. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე.

წარმოდგენილი გეოლოგიური ნაწილის კვლევა

პირველ რიგში შევისწავლილ იქნა ინჟინერ-გეოლოგის მიერ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც წარმოდგენილია კვლევაში. წარმოდგენილი გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაყარი ფენის შემდგომ გვხდება არგელიტებისა და თიხა და ქვიშაქვების მორიგეობა, რომლის სიმტკიცის კოეფიციენტი (R_o-3.2 კგ.ძ/სმ²) მოცემულ პროექტთან მიმართებაში მისაღები და საანგარიშოდ დამაკმაყოფილებელია (ფენა №4). წარმოდგენილი გარემო-ფაქტორებით გეოლოგიური კვლევის შედეგად განსაზღვრულია კორპუსის ფუნდამენტი ხიმინჯოვანი ტიპის საძირკვლებზე. აღნიშნულ ლაბორატორიულ კვლებში და ანალიზებში არსებულ ტერიტორიაზე გავრცელებულია ძლიერ აგრესიული გრუნტის წყლები, რომელიც მოცემული ფენებიდან განისაზღვრა შრე №2 და №3. რის საფუძველზეც მოცემულ ანგარიშებში და ფიკური-მექნაიკურ მახასიათებლებში გეოლოგიური კვლევის შედეგად განისაზღვრა №4 ფენა. აღნიშნული კორპუსი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გეგმაში მართკუტხა ფორმისაა სეისმურად აქტიურ ზონაში და მაღალი ინტენსიობის. გამოკვლეული სინჯებისა და გეოლოგიური პირობების მიხედვით მოცემული სამუშაოები ჩატარებულია ჯეროვნად ლაბორატორიული ანალიზებისა და ჩრილების შედეგად.

მოცემული გეოლოგიური პირობები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით დაგეგმარებული კორპუსის საძირკვლები და ერთიანი კონსტრუქციული სქემა იქნას დაცული სამშენებლო ნორმებთან მიმართებაში, ანუ საძირკვლები და მზიდი კონსტრუქციული ელემენტები. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ უბანზე გავრცელებულია ძირითადად ქვიშაქვებისა და თიხნარების ფენა, ხოლო

ფენა №4 კლდოვანი ქანებითაა დაკომპლექტებული, რაც შეესაბამება სინამდვილეს და მოცემული კოეფიციენტები აღებულია მართებულად. წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები შეესაბამება ნორმებს და სამუშაოები განხორციელებულია სრულიად მართებულად კონსტრუქციულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით მოცემული პროექტის დასაძირკვლება განხორციელდა 4 ფენაზე ხიმინჯების საშუალებით ხოლო ზეძირკველი მასიური ფილით არის განსაზღვრული და შესრულებული, სადაც მოცემული გეოლოგიური პარამეტრები სრულად არის ათვისებული და დამუშავებული. გეოლოგიური პირობების მიხედვით მოცემული კოეფიცინტები სრულიად არის შესწავლილი და გამოკვლეული რასაც ვეთანხმებით და ვადასტურებთ გამოკვლეული შედეგების მიხედვით.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც განხილულ იქნა გეოლოგიური მონაცემბი, შესრულებულია ჯეროვნად და აკმაყოფილებს წარმოდგენილ მდგომარეობას, რომელიც შესრულებულია ადგილზე აღებული სინჯების საფუძველზე. აქედან გამომდინარე გეოლოგიური მონაცემები და მასში მოცემული საანგარიშო კოეფიციენტები საკმარისად დამაკმაყოფილებელია.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი: